International Partnerships Austria

ČENN

წიალის მოპოვების შედეგად დეგრადირებული ჭალის ტყეების აღდგენის მოდელი

რეკომენდაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის

აპრილი, 2026

ჭალის ტყეების აღდგენის წარმოდგენილი მოდელი განკუთვნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის. დოკუმენტით შეთავაზებული სამართლებრივი და ფინანსურ მექანიზმები დაფუძნებულია ტყის კოდექსისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებაზე და ითვალისწინებს მდგრადი და ხარჯეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, როგორც ტყეების აღდგენის, ასევე ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირება-აღმოფხვრის მიმართულებით. მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეშ არსებულ უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებაზე.

კვლევა განხორციელდა CENN-ის მიერ, მომზადდა პროექტის - „მწვანე კავკასია“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, ,,ავსტრიის საერთაშორისო პარტნიორობის" ფარგლებში

ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) არ იღებს პასუხისმგებლობას პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მომზადებული საკომუნიკაციო მასალების შინაარსზე. აღნიშნულ მასალებში წარმოდგენილი განცხადებები, მოსაზრებები და ინფორმაცია ეკუთვნის მხოლოდ შესაბამის ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ავსტრიის განვითარების სააგენტოს პოზიციას ან დამოკიდებულებას.

ფოტო გარეკანზე: ქვიშა-ხრეშის მოპოვების სამუშაოები მდინარე ქსნის კალაპოტში, სოფ. აღაიანის მახლობლად, 2023 წ.

სარჩევი

შესავალი 5

ტყის დაცვისა და აღდგენის სამართლებრივი საფუძვლები 8

ჭალის ტყეების აღდგენის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები 9

სამართლებრივი საფუძვლები სახელმწიფო ტყეებში წიაღის მოპოვებისთვის 10

- განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა 13
- პროცედურები ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების მისაღებად 15

სიტუაციური შეფასება 16

ტყის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისა და მისგან გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის არსებული პრაქტიკა 21

ტყის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისა და მისგან გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის სამართლებრივი მექანიზმები - კომპეტენციათა ანალიზი 23

- ეროვნული სატყეო სააგენტო 23
- გარემოს ეროვნული სააგენტო 24
- კომპეტენციათა ანალიზი - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 25
- რეგულაციები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ 26
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება და ძირითადი პასუხისმგებელი ორგანოები 28

გარემოსდაცვითი ზიანის კომპენსირების სქემა 30

- გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსწორების პროცესი 30

რეკომენდაციები 31

გამოყენებული საკანონმდებლო აქტები 32

გამოყენებული ფოტოებისა და ილუსტრაციების სია

ფოტო 1: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ. 12

ფოტო 2: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2010 წ. 16

ფოტო 3: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2017 წ. 17

ფოტო 4: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2019 წ. 18

ფოტო 5: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ. 19

ფოტო 6: რეგისტრაციებით გამოწვეული ფრაგმენტაცია სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ. 20

ფოტო 7: ქვიშა-ხრეშის კარიერები სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. მუხრანთან; 2021-2023 წწ. 21

ფოტო 8: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ. 23

ფოტო 9: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ. 24

შესავალი

ჭალის ტყეები, ძირითადად, დაბლობებზე და ადვილად მისადგომ ადგილებზე მდებარეობს და სტეპებს, ან ნახევრადუდაბნოებს ესაზღვრება. ამიტომ ისინი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ეკოსისტემებად ითვლება. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ჭალის ტყეები ქმნიან ბიომრავალფეროვნების კუნძულებსა და კორიდორებს ურბანულ ან გაუდაბნოებულ ტერიტორიებს შორის, რაც უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმებისთვის თავშესაფარ ოაზისებს მკაცრი კლიმატური პირობების მქონე გარემოში.

საქართველოში ჭალის ტყეების ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა შემორჩენილი ფრაგმენტები ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ უკანასკნელ და უნიკალურ ბუნებრივ ეკოსისტემებად უნდა ჩაითვალოს. ამის გამო ყოველთვის ცალკე გამოყოფენ მათ განსაკუთრებულ ღირებულებას ლანშაფტური მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

ამასთანავე, ჭალის ტყეების უკიდურესად შეზღუდულ ფართობებზე წარმოდგენილია მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსები, რომელთა უმეტესობაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის დეფიციტურია და მათ მიმართ ყოველთვის განსაკუთრებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები არსებობს. ესაა კლიმატური, წყლის, მიწის, მერქნული, არამერქნული, ტურისტული თუ წიაღისეული რესურსები, რომელთა მიმართაც წინააღმდეგობრივი, კონფლიქტური და ურთიერთკონკურენტული ინტერესები ვითარდება და იქმნება საფრთხე, რომ ერთი რესურსით სარგებლობამ მთლიანად დაუკარგოს ღირებულება სხვა დანარჩენს. სწორედ ამიტომ, ჭალის ტყეების მდგრადი მართვა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და დარგობრივ ინტერესებს შორის ბალანსის პოვნას გულისხმობს.

უკანონო ჭრებისა და გადაძოვების, ასევე წყალშემკრებული აუზების უფრო ფართო არეალების დაზიანებისგან გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებისა და მასთან ბრძოლის მოძველებული მეთოდების გარდა, ჭალის ტყეების დეგრადაციის ძირითადი ფაქტორი მდინარეთა კალაპოტებში მიმდინარე ქაოტური მიწათსარგებლობა, ინერტული მასალების მოპოვება და მდინარისპირა ტერიტორიების სოციალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ათვისების ისეთი ფორმებია, როგორიცაა ნაგავსაყრელები, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა და ირიგაცია.

ჭალის ეკოსისტემები საწარმოო და ინფრასტრუქტურული ზეწოლის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა, მათი შეუქცევადი დეგრადაციის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და ნაკლებად რეგულირებულ მიზეზად კი სწორედ **ქვიშა-ხრეშის ინტენსიური მოპოვება უნდა გამოიყოს.** სახელმწიფო ტყეების საზღვრებში წიაღის არამდგრადი მოპოვების გამო, ჭალის ტყის მრავალი უბანი განიცდის მკვეთრ ფრაგმენტაციას, გაუწყლოებას და კარგავს ეკოლოგიურ ფუნქციას.

ქვიშა-ხრეშის უკონტროლო მოპოვება არა მხოლოდ აზიანებს კონკრეტულ ბუნებრივ არეალებს, არამედ, გრძელვადიან პერსპექტივაში, იწვევს მდინარეთა ჰიდროლოგიური ციკლის რღვევას და ეკოლოგიური სერვისების გაწყვეტას.

ჭალის ტყეებზე წიაღის მოპოვებით მიყენებული ზიანი დიდწილად შეუქცევად ხასიათს ატარებს, რაც დაკავშირებულია თვითონ ზემოქმედების ისეთ ფორმებთან და სპეციფიკასთან, როგორიცაა:

- **მიწის ფონდის სრული განადგურება** - ინერტული მასალების მოპოვების შედეგად, მდინარის ჭალის ტერიტორია ხშირად 5-10 მეტრის სიღრმემდე ღრმავდება. ამის გამო, ასობით ჰექტარი ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა ეკოციდურ არეალად გარდაიქმნება, სადაც ბუნებრივი ეკოსისტემის აღდგენა უკიდურესად შენელებული ტემპითაც კი ვეღარ ხორციელდება.
- **მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა და დატბორვის დინამიკის მოშლა** - ქვიშა-ხრეშის მოპოვება ცვლის მდინარის დინების სიღრმესა და მიმართულებას, რაც იწვევს წყლის მიწოდების შეწყვეტას და ჭალის ტყის უფრო ფართო ტერიტორიების გამოშრობას, რომელთა არსებობა დამოკიდებულია სეზონურ დატბორვაზე. ინერტული მასალების დიდი მოცულობით მოპოვება და დატბორვის არეალის შემცირება იწვევს არა მხოლოდ ჭალის ტყის ეკოსისტემის დეგრადაციას, არამედ მისი ბუნებრივი აღდგენის უნარის დაკარგვას.

- **ნაპირების ეროზია** - გაღრმავებული კალაპოტები აჩქარებენ ნაპირების ჩამოშლას, რაც საფრთხეს უქმნის მდინარის პირველ და მეორე ტერასაზე არსებულ ბუნებრივ ეკოსისტემებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

- **ხე-მცენარეთა ფიზიკური მოსპობა** - კარიერისთვის ტერიტორიის მოსამზადებლად, წინასწარ ხდება მისი გაწმენდა მცენარეული საფარისგან. მრავალწლიანი ხეების მოცილების მიზნით ხშირად გამოიყენება ტყის გადაწვის მეთოდი. ცალკეულ შემთხვევებში, ხე-მცენარეების გარშემო ხორციელდება მიწის ღრმა მოთხრა, რაც იწვევს მათ განადგურებას. სამუშაო ტექნიკისა და მძიმე მექანიზმების გამოყენება, აგრეთვე მისასვლელი გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა და ექსპლუატაცია, აზიანებს მდინარისპირა ვეგეტაციას კარიერის მიღმა მდებარე ფართო ტერიტორიებზეც.

- **ჰაერის, წყლისა და ნიადაგების დაბინძურება -** უშუალოდ მდინარის კალაპოტებში მიმდინარე საქმიანობა წარმოშობს ჰაერის, წყლის და ნიადაგების დიდ მასშტაბებზე სისტემატიური დაბინძურების კერას. სახეზეა როგორც ძლიერი ქიმიური დაბინძურება, მათ შორის, ნავთობპროდუქტებით, ასევე ფიზიკური და სტრუქტურული ცვლილებები;

- **ბიომრავალფეროვნების შემცირება** - ქვიშა-ხრეშის მოპოვებით გამოწვეული ნიადაგის, წყლისა და ჰაერის სტრუქტურული ცვლილებები მნიშვნელოვნად აუარესებს ამ არეალში მობინადრე სახეობების პირობებს.

ჭალის ტყეების კონკრეტული მონაკვეთებიდან ქვიშა-ხრეშის ამოღების მოთხოვნა ხშირად იმდენად მაღალია, რომ გონივრული გადაწყვეტილებების მიღება ხშირად სახელმწიფოს ჩარევას, ბაზრის დასარეგულირებელი ძლიერი საკანონმდებლო თუ

სააღსრულებლო ბაზის არსებობას მოითხოვს. ესაა დიდი დასახლებების სიახლოვეს, ზოგჯერ კი, უშუალოდ დასახლებებში არსებული საბადოები, რომლის მოპოვება-ტრანსპორტირების ფასები ბაზარზე ხშირად უკონკურენტოა. ჭალის ტყის უკიდურესად მგრძნობიარე ეკოსისტემები ასეთ ადგილებში დიდი მაინინგ-ინდუსტრიების მსხვერპლი ხდება.

რაც ყველაზე საგანგაშოა, ჭალის ტყეებში ქვიშა-ხრეში მოპოვება, ხშირად უკანონოა. ტყითსარგებლობის წესების უხეში დარღვევების გამო, მას შეიძლება უნებართო ეკონომიკური საქმიანობის კლალიფიკაციაც მოენიჭოს, რაც ბიზნესებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკების წინაშე აყენებს. სანებართვო კანონმდებლობის დარღვევების გარდა, სახეზეა კერძო სექტორის მიერ მთელი რიგი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების შეუსრულებლობა, რაც ზიანის შემცირების, აღმოფხვრისა და კომპენსირების მექანიზმებში უნდა გამოიხატოს.

2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და ევროდირექტივებთან მისი ჰარმონიზების კუთხით. საკანონმდებლო ცვლილებები ხშირ შემთხვევაში ეყრდნობოდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ატარებდა ფუნდამენტურ ხასიათს, რომლის აღსრულება და დანერგვაც, ბუნებრივია, გარკვეულ დროსთან და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. რიგ შემთხვევაში, ცვლილებების პროცესს თან ახლდა ინსტიტუციური რეფორმაც. კერძოდ, დაწყებულია საკანონმდებლო ჩარჩოს აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება, შექმნილია ახალი გარემოსდაცვითი სამსახურები და გაფართოვებულია არსებული უწყებების კომპეტენციები.

აღნიშნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო უკვე დეტალურად განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული გარემოსდაცვითი ზიანის პრევენციის და აღმოფხვრის მექანიზმებს, რომელიც მკაფიოდაა დადგენილი და გადანაწილებული სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. რეგულაციები გათვლილია როგორც გარემოსდაცვით, ასევე ეკონომიკურ ასპექტებზე და ქმნის პირობებს როგორც ტყეების დაცვისთვის, ასევე წიაღით მდგრადი სარგებლობისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტი სწორედ აღნიშნულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოზეა დაფუძნებული და ქმნის მისი აღსრულების კონრეტულ სქემებს. დასკვნები ეყრდნობა ფაქტებისა და გარემოებების სიღრმისეულ ანალიზს, რისთვისაც გამოყენებულია საველე თუ კაბინეტური კვლევის მეთოდები. შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულება, ძირითადად, შიდა სექტორული კოორდინაციით არის შესაძლებელი, რამაც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება უნდა უზრუნველყოს. ესენია:

- **სახელმწიფო ტყეებში წიაღით სარგებლობის პრაქტიკის შესაბამისობა სატყეო კანონმდებლობასთან და ტყითსარგებლობის წესებთან**
- **წიაღის მოპოვების შედეგად ჭალის ტყის ახალი ფართობების დაზიანების პრევენცია და შემცირება**

- **უკვე დაზიანებულ ფართობებზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანისა და მისი აღმოფხვრის ღონისძიებების დადგენა-შეფასება**
- **აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ტყის დეგრადირებულ უბნებზე**

ანგარიში განკუთვნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდეგი საქვეუწყებო დაწესებულებებისთვის:

- ➔ ეროვნული სატყეო სააგენტო
- ➔ გარემოს ეროვნული სააგენტი
- ➔ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

მნიშვნელოვანია, რომ ჭალის ტყის უნიკალური ეკოსისტემების აღდგენის ძვირადღირებული პროექტების განხორციელების შემოთავაზებული მოდელი სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს დამატებით ფინანსურ ტვირთებს და მათი შესრულება სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს საჯარო უწყებებისთვის დაკისრებული კომპეტენციების კორდინირებულ, ერთანეთთან ჰარმონიზებულ განხორციელებას.

ტყის დაცვისა და აღდგენის სამართლებრივი საფუძვლები

ტყის მართვის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კანონი - „ტყის კოდექსი", რომელიც ძალაშია 2021 წლიდან.

ტყეების ეკოლოგიურად გონივრული, სოციალურად სარგებლიანი და ეკონომიკურად წარმატებული მართვისათვის აუცილებელი პრინციპები განმსაზღვრელია ეროვნული სატყეო კონცეფციით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს დაამტკიცა.

ტყის, როგორც სოფლის განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემის როლი ხაზგასმულია **„საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიაში"** (2021-2027), სადაც ერთ-ერთ ამოცანად „ტყის რესურსების მდგრადი გამოყენებაა" განსაზღვრული.

ტყის მართვასა და აღდგენის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი **„საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში"** (2021), რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა **„საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილით"** გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია დეგრადირებული ტყეების აღდგენა, ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა და კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება. სტრატეგიის დოკუმენტის ლოგიკური ჩარჩოთი განსაზღრული 7.1 ამოცანის მიხედვით, 2030 წლისთვის გათვალისწინებული აღდგენითი სამუშოები უნდა განხორციელდეს ტყეების 4,000 ჰა-ზე მეტ ფართობზე.

ჭალის ტყეების აღდგენის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები

ჭალის ტყეების აღდგენის საჭიროებას მნიშვნელოვანი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები განაპირობებს. **ეკოლოგიური ღირებულებებიდან უნდა გამოიყოს: ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემური სერვისები და კლიმატი.**

ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, ჭალის ტყეები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ ეკოსისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ჰაბიტატის პირობებს მრავალი ენდემური და იშვიათი სახეობისთვის. ეს ტყეები ასევე ქმნიან ბუნებრივ ეკოლოგიურ კორიდორებს ფრაგმენტირებულ ბუნებრივ გარემოში. საქართველოში მდინარე მტკვრის, ალაზნის, იორისა და ქსნის ჭალის ტყეები გააჩნიათ რეგიონული და საერთაშორისო კონსერვაციული ღირებულება, რომელთა დეგრადაცია მნიშვნელოვნად ამცირებს უფრო ფართო ეკოლოგიური ქსელების სტაბილურობას და ქმნის საფრთხეს ფლორისა და ფაუნის მრავალი საკვანძო სახეობის გადაშენებისთვის.

ეკოსისტემური სერვისების მხრივ, ჭალის ტყეები უზრუნველყოფენ წყლის რეგულაციას, მდინარეთა ნაპირებისა და ქარისმიერი ეროზიის პრევენციას, ხოლო კლიმატის ცვლილების კუთხით ქმნიან კლიმატის რეგულაციისა და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ბუნებრივ მექანიზმებს, შთანთქავენ და ინახავენ მეტ ნახშირბადს ბიომასასა და ნიადაგში, ამცირებენ გვალვის გავლენას სოფლის მეურნეობაზე და ექსტრემალური ტემპერატურის ეფექტს.

ასევე მნიშვნელოვანია ჭალის ტყეების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საგანამათლებლო ღირებულება. ისინი ხშირად წარმოადგენენ **ერთადერთ ხელმისაწვდომ ბუნებრივ რესურსს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და სამუშაო ადგილების შექმნას. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ჭალის ტყეების რეკრეაციული ღირებულება, რაც აუცილებელი პირობაა ცხოვრების ხარისხის გაზრდისა და კეთილდღეობისთვის. ასევე ცალკე გამოსაყოფია ჭალის ტყეების** ეთნოკულტურული და საგანმანათლებლო ღირებულება. ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებასთან ერთად, მათ აღდგენით შეიქმნება საუკეთესო სივრცეები საგანამანათლებლო პროცესებისთვის.

ყველა აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, ჭალის ტყეების აღდგენა აღარ წარმოადგენს მხოლოდ ეკოლოგიურ მოთხოვნილებას - ეს არის მრავალდარგობრივი ამოცანა, რომელიც აკავშირებს კლიმატის ადაპტაციას, სოფლის განვითარებას, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და ეკოსისტემური სერვისების გაძლიერებას, ხოლო აღდგენის პოლიტიკა მოითხოვს ინტერდისციპლინურ მიდგომას, ადგილობრივი თემების მონაწილეობას და გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

სამართლებრივი საფუძვლები სახელმწიფო ტყეებში წიაღის მოპოვებისთვის

სახელმწიფო ტყეებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ანალიზი აზუსტებს, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს წიაღისეულის მოპოვების მსურველი და რა პროცედურების გავლაა საჭირო შესაბამისი ნებართვის მისაღებად. აქვე მოცემულია, თუ რომელი სახელმწიფო უწყებები არიან ჩართული გადაწყვეტილებების მიღებისა და შემდეგ ამ გადაწყვეტილებათა აღსრულებისა და კონტროლის პროცესში.

საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით, ტყის მდგრადი მართვა გულისხმობს ტყის ისეთი გზითა და მოცულობით მართვასა და გამოყენებას, რომ შენარჩუნდეს მისი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულდეს ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე და არ დაზიანდეს სხვა ეკოსისტემები[1], ხოლო ტყითსარგებლობა ნიშნავს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ტყის გამოყენებასა და ეკონომიკური და სხვა ღირებულებების მქონე ტყის რესურსების მოპოვებას.[2]

ტყის რესურსები მოიცავს იმ სასარგებლო წიაღისეულსაც, რომელიც მდებარეობს ტყის ტერიტორიაზე. ტყის საზღვრებში წიაღით სარგებლობის პირობები დგინდება შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით[3]. წიაღისეულის მოპოვებისას ერთმანეთს ძირითადად უპირისპირდება ორი უმნიშვნელოვანესი ინტერესი - ეკონომიკური და გარემოსდაცვითი. ამ ინტერესების დაბალანსებასა და ურთიერთშეჯერებას ემსახურება არაერთი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელთა მიზანია საბადოების დამუშავებისას მივიღოთ ეკონომიკური სარგებელი იმგვარად, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მივაყენოთ გარემოს.

წიაღი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე.[4] ლიცენზიის მოქმედების ვადას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს ლიცენზიის გამცემი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.[5] მდინარეებზე არსებული ქვიშა-ხრეშის საბადოებსა და გამოვლინებებზე ლიცენზიები გაიცემა არაუმეტეს 5 წლის ვადით. განსხვავებული სალიცენზიო პირობების ან/და საინვესტიციო წინადადებების არსებობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის თანხმობით ლიცენზია შეიძლება გაიცეს ან/და უკვე გაცემული ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 10 წლამდე ვადით.[6]

1 საქართველოს ტყის კოდექსი, მუხლი 2.ქ.
2 იქვე, მუხლი 2.წ.
3 საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, მუხლი 1.3.
4 იქვე, მუხლი 6.2.
5 დებულება “სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ”, მუხლი 2.
6 იქვე, მუხლი 61.

წიაღით მოსარგებლე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ასევე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი. წიაღით მოსარგებლეები სარგებლობენ ლიცენზიაში ჩამოთვლილი ყველა უფლებით და პასუხს აგებენ მისი პირობების დაცვაზე.[7]

წიაღის უბანი სარგებლობისათვის გაიცემა ზუსტად განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში (სამთო მინაკუთვნი) და ამ ფარგლებს/საზღვრებს ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო.[8]

წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის ამოცანას წარმოადგენს წიაღის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვა, აგრეთვე, წიაღით სარგებლობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება, სასარგებლო წიაღისეულის ბაზის შექმნა.[9]

წიაღით მოსარგებლე ვალდებულია უზრუნველყოს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოებისას წიაღის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყის, დაცული ტერიტორიების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა დადგენილი ნორმების მიხედვით.[10]

კანონი კრძალავს ინერტული სამშენებლო მასალების, როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ან მათ მოპოვებაზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საქმიანობა არღვევს მდინარის კალაპოტის მდგრადობას. აკრძალულია აგრეთვე წიაღით სარგებლობა ამ მონაკვეთების მიმდებარე ჭალისზედა ტერასებზე მდინარის კალაპოტიდან 50 მეტრის ფარგლებში. მდინარის სხვა მონაკვეთებზე და მდინარეზე მოწყობილი წყალსაცავებიდან ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვება არ იკრძალება.[11]

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულებას აკონტროლებს ლიცენზიის გამცემი - სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, რომელიც ადგენს თუ როგორ ასრულებენ წიაღით მოსარგებლეები წიაღის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს და გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად მიიღოს შესაბამისი ზომები.[12]

ლიცენზიის გაცემის აუცლებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს, როგორიცაა მაგალითად გარემოს დაცვა. საქმიანობის ლიცენზიით რეგულირების მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა, ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.[13]

7 საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, მუხლი 11.
8 იქვე, მუხლი 7.
9 იქვე, მუხლი 22.1.
10 საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, მუხლი 13.1.დ.
11 იქვე, მუხლი 9.17.
12 იქვე, მუხლი 31.
13 საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, მუხლი 2.

ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას. სალიცენზიო პირობების განმეორებით შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ლიცენზიის გაუქმება. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ სარგებლობის ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას შედეგი არ მოჰყვება, სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია პირდაპირ გააუქმოს ლიცენზია.[14]

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება აკრძალულია სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიებზე და ტყის უბნებზე, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები; ასევე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც 1 ჰა-ზე არსებული მერქნული რესურსის მარაგი (გარდა ბუჩქნარისა) აღემატება 50 $მ^3$-ს და ა.შ.[15]

თუმცა, ლიცენზიის ფლობა თავისთავად არ ნიშნავს წიაღის მოპოვების სამუშაოების დაწყების უფლების არსებობას ტყის ტერიტორიაზე.

ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ცალკე საკანონმდებლო ჩარჩო არეგულირებს, რომლის აღსრულებაც სავალდებულოა წიაღის მოსარგებლისთვის.

ფოტო 1: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ.

14 იქვე, მუხლი 22.
15 დებულება “სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ”, მუხლი 21.

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა

როგორ ხდება და რა დამატებითი მოთხოვნებია დაწესებული ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად?

საქართველოს ტყის კოდექსი იცნობს ტყით სარგებლობის ორგვარ წესს: ტყით საერთო და ტყით სპეციალური სარგებლობას. განსხვავებით ტყით საერთო სარგებლობისაგან, ტყით სპეციალური სარგებლობისათვის მოსარგებლემ უნდა მიიღოს ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. ამ უფლების ფარგლებში ტყითმოსარგებლე ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ისეთი ფორმით, მეთოდითა და საშუალებით, რომლებიც არ გამოიწვევს ტყის ნიადაგის ეროზიას, აგრეთვე შეზღუდავს ან გამორიცხავს გარემოზე, ტყის მდგომარეობასა და მის აღდგენაზე ტყით სპეციალური სარგებლობის უარყოფით გავლენას.[16]

ტყით სპეციალური სარგებლობა ხორციელდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ფარგლებში, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 49 წელს. ტყით მოკლევადიანი სპეციალური სარგებლობა შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 2 წლამდე ვადით. ტყით სარგებლობის ვადაზე გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული სატყეო სააგენტო და მას უფლება აქვს გააგრძელოს ტყით სპეციალური სარგებლობის ვადა, თუმცა მითითებული 49 წლის ფარგლებში.[17]

საქართველოს ტყის კოდექსი ჩამოთვლის ტყით სპეციალური სარგებლობის სახეებს, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა.[18] ერთ-ერთი ასეთი სახეა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა.[19] ზოგადად, ტყით სპეციალური სარგებლობის განხორციელების მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობი გაიცემა ელექტრონული აუქციონის საფუძველზე,[20] თუმცა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის განხორციელების მიზნით სახელმწიფო ტყის ფართობი გაიცემა უფლებამოსილი პირის მიერ პირდაპირი წესით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების საფუძველზე.[21]

ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება წარმოადგენს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას. შესაბამისად, წიაღის ეროვნული სააგენტოდან ლიცენზიის მიღების შემდეგ ტყის ტერიტორიაზე წიაღის მოპოვების მიზნით პირმა აუცილებლად უნდა მიიღოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. ამგვარი უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული სატყეო სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების მიზნით განსახორციელებელ ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოსა და დაინტერესებული მხარის მონაწილეობას. მიღებული გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-

16 იქვე, მუხლი 43.2.გ.
17 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულება, მუხლი 12.
18 საქართველოს ტყის კოდექსი, მუხლი 38.1.
19 იქვე, მუხლი 37.1.
20 იქვე, მუხლი 44.1.
21 იქვე, მუხლი 44.1.

მართლებრივი აქტი) ეგზავნება განმცხადებელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და წიაღის მოპოვებაზე ლიცენზიის გამცემს.[22]

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებით დაინტერესებულ პირს ეს უფლება ენიჭება განცხადების საფუძველზე, სადაც უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის აუცილებლობის მოტივაცია, მიზანი (წიაღის მოპოვება) და ვადები.

განცხადებას სხვა დოკუმენტაციასთან ერთად აუცილებლად უნდა ერთვოდეს შერჩეული ტყის ფართობის დაზუსტებული აზომვითი ნახაზი UTM კოორდინატთა სისტემაში, და წიაღის მოპოვების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ლიცენზიის) ასლი.[23]

ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო და/ან შემარბილებელი ღონისძიებები, ტყის მართვის ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე, დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით. საკომპენსაციო ღონისძიებების ბენეფიციარს წარმოადგენს შესაბამისი ტყის მართვის ორგანო.[24]

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისას დაინტერესებული მხარე (ტყითმოსარგებლე) ვალდებულია, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.[25]

წიაღის მოპოვებისთვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისათვის ტყითმოსარგებლე იხდის საკომპენსაციო საფასურს: ტყითსარგებლობის ფარგლებში ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამუშაოების განხორციელებისას, რომელიც არ საჭიროებს მერქნიანი მცენარეების მოჭრას, საკომპენსაციო საფასური გამოითვლება სარგებლობაში გადაცემული მიწის ფართობის მიხედვით, ხოლო მერქნიანი მცენარეების მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე გამოყოფილ ტყეკაფზე მონიშნული მერქნული რესურსის მოცულობის მიხედვით. საკომპენსაციო საფასურის გადახდა ხორციელდება ტყის მართვის ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ამ სამუშაოების დაწყებამდე, ფართობების მიღება-ჩაბარებამდე პერიოდში.[26]

ტყის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და საქართველოს ტყის (გარდა მუნიციპალური ტყისა) დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.[27]

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქმიანობის განმახორციელებლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაჯარიმებას. თუ, საქმიანობის განმახორციელებელი ჯარიმების

22 იქვე, მუხლი 68.
23 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულება, მუხლი 61.5.
24 იქვე, მუხლი 63.
25 იქვე, მუხლი 64.2.
26 იქვე, მუხლი 77.
27 საქართველოს ტყის კოდექსი, მუხლი 22.1.

დაკისრების მიუხედავად არ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებას, სამინისტრო გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად აცხადებს.[28]

პროცედურები ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების მისაღებად

როგორც ანალიზი აჩვენებს, სახელმწიფო ტყეების ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაკავშირებულია გარკვეულ პროცედურებსთან. კერძოდ, ტყის კონტურში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მსურველი პირი ვალდებულია თავდაპირველად სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსგან მიიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რაც თავისთავად არ ნიშნავს, რომ მას უკვე შეუძლია დაიწყოს მოპოვებითი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე. ამისათვის მან უნდა მიმართოს ეროვნულ სატყეო სააგენტოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად და წარადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია.

ამ ეტაპზე მიღებული ნებართვაც არ შეიძლება ჩაითვალოს დაინტერესებულ პირის მიერ წიაღისეულის მოპოვების დაწყების საფუძვლად. გამომდინარე იქიდან, რომ ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, იგი შეიძლება წარმოადგენდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას. შესაბამისად, აუცილებელი გახდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა.

მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შედის ძალაში როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, ისე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება და ამის შემდეგ შეიძლება ტყის ფონდის მიწებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობის დაწყება. რომელიმე მითითებულ ეტაპზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება გამორიცხავს წიაღისეულის მოპოვების დაწყებას ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

უკვე გაცემული ნებართვების შემდეგ, საქმიანობის პროცესშიც, საქმიანობის განმახორციელებელი ანგარიშვალდებულია სხვადასხვა მაკონტროლებელ უწყებასთან, იქნება ეს მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო თუ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. დადგენილი მოთხოვნებისა და პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი თითოეული ამ უწყების მხრიდან ექვემდებარება დაჯარიმებას ან/და მინიჭებული უფლების გაუქმებას, რაც ავტომატურად ნიშნავს საქმიანობის შეწყვეტის ვალდებულებას. დამატებით, პირი შეძლება დაექვემდებაროს სხვა ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და დაევალოს გარემოსათვის მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურება.

28 იქვე, მუხლი 46.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, თუკი მისი მოთხოვნები ზედმიწევნით იქნება აღსრულებული, სათანადოდ ითვალისწინებს და აწონასწორებს ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინეტერესებს, მათ ურთიერთმიმართებას. სხვადახვა სახელმწიფო ორგანოსა და მაკონტროლებელი უწყების ჩართვა ნებართვების გაცემისა და აღსრულების პროცესში იძლევა შესაძლებლობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული იქნეს დაბალანსებული გადაწყვეტილება გარემოსა და/ან ეკონომიკური ინტერესის სასარგებლოდ, იმ პირობით, რომ გარემოსათვის მიყენებული ზიანი დაიყვანება მინიმუმადე და არ იქნება შეუქცევადი.

სიტუაციური შეფასება

როგორც პრაქტიქიდან ირკვევა, საქართველოს სახელმწიფო ტყეებში ქვიშა-ხრეშის ამოღება ხშირად სამართლებრივი ვალდებულებების გვერდის ავლით მიმდინარეობს. კერძოდ, როგორც ცალკეული შემთხვევების შესწავლამ გამოავლინა, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ არ არის გაცემული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

CENN-მა შეისწავლა ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურის კასპის სატყეო უბნის ქსანის სატყეოში (კვარტალი N11, ლიტერი N16, 18, 19) მდებარე 70 ჰექტარი სახელმწიფო ტყის მდგომარეობა, სადაც ჯერ კიდევ 2012 წელს წარმოდგენილი იყო მუხის, ვერხვის, თელას, მურყნის, თრიმლის და სხვა მერქნიანი სახეობებისგან შექმნილი ჭალის ტყის კარგად შემონახული ფრაგმენტი (იხ. ფოტოზე).

ფოტო 2: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2010 წ.

CENN-ის მიერ განხორციელებული კვლევების მიხედვით, აღნიშნული პერიოდიდან აქტიურად იწყება ტყის ამორიცხვების და კერძო საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესი. ამას ემთხვევა ტყის ხანძრები, რაც, ადგილობრივების განმარტებით, შესაძლებელია, ხელოვნურად იყო გაჩენილი.

ადგილზე ჩატარებული საველე შეფასებებით, ტყის ხელოვნურად გადაწვის პრაქტიკა ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს. კერძოდ, გადამწვარია წარმოდგენილი ტერიტორიის მიმდებარე ტყეების ორი კორომი.

სახელმწიფო ტყის ტერიტორიის წარმოდგენილ უბანზე ინერტული მასალის მოპოვება 2016 წლიდან იწყება.

კერძოდ, ტყის შუაგულში შედის სამანქანო გზა, რომლის ირგვლივაც სწრაფად მიმდინარეობს მცენარეული საფარის განადგურება. ჭალის ტყის შემორჩენული უნიკალური ფრაგმენტების ადგილს თანდათან ხრიოკი ტერიტორია იკავებს, რაც კარგად ჩანს წლების მიხედვით ამოღებული აერო-ფოტოებიდან.

ანალოგიური მდგომარეობა იქმნება ჭალის ტყის განაპირა ზოლშიც, მდინარის სიახლოვეს. პარალელურად, ტყიდან ამორიცხული ტერიტორიები იტვირთება სატყეო ეკოსისტემებისთვის შეუსაბამო ინფრასტრუქტურით, ჩნდება შენობები და ტერიტორია იფარება საგზაო და სხვა სახის კომუნიკაციებით (იხ. ფოტოზე).

ფოტო 3: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2017 წ.

სამართლებრივად, მდინარი ქსნის ჭალების მაგალითზე, საქმე გვაქვს ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, რომელიც განსაკუთრებული

დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობის ფორმაა და მოითხოვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებას.

როგორც საკანონმდებლო ანალიზშიც იყო წამორდგენილი, აღნიშნული უფლების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) გაიცემა ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ და უფლების მიმღების გარდა ეგზავნება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და წიაღის მოპოვებაზე ლიცენზიის გამცემს.

წარმოდგენილ ტერიტორიაზე მსგავსი ნებართვა გაცემული არ არის.

სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით (NFA letter #11/4859, 27/09/2021), „წარმოდგენილი 65 ჰა მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, კასპის სატყეო უბნის ახალქალაქის სატყეო კვარტალი #31-ის ლიტერი #2;3. აღნიშნული ფართობი არ წარმოადგენს სახელმწიფო ტყიდან ამორიცხულ ფართობს, არ წარმოადგენს წიაღის ლიცენზიის მფლობელისთვის განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური სარგებლობისთვის რეგისტრირებულ ტერიტორიას. აღნიშნულ ფართობზე, ბოლო 20 წლის მანძილზე, სატყეო სააგენტოს მიერ ტყითსარგებლობის მიზნით ღონისძიებები არ ჩატარებულა“.

შესაბამისად, დგება წიაღის მოპოვების ლიცენზიით განხორციელებული საქმიანობის კანონიერების საკითხი.

ტერიტორიაზე მდგომარეობა დრამტულად უარესდება შემდგომი 2 წლის განმავლობაში.

2019 წლისთვის წიაღი მომპოვებელი კომპანიების მიერ სახელმწიფო ტყის თითქმის მთელი პერიმეტრი სრულიად გამქრალია (იხ ფოტოზე).

ფოტო 4: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2019 წ.

სახეზეა 70 ჰექტრამდე უნიკალური, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყის სრული განადგურება, რომელიც სულ რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა მიწის არამდგრადი მართვის, ტყის მიწების უსისტემო რეგისტრაციისა და წიაღის უკანონო მოპოვების შედეგად. ტყის დეგრადაციასთან ერთად, სრულად ნადგურდება მიწის ფონდიც, დრამატულად იცვლება ლანდშაფტის იერსახე და ჰიდროლოგიური ქსელი (იხ. ფოტოზე).

ფოტო 5: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ.

სამწუხაროდ, სოფელ აღაიანთან განვითარებული ტყის სრული დეგრადაციის პროცესი არ წარმოადგენს გამონაკლისს და მეტ-ნაკლებად მსგავსი მდგომარეობაა როგორც კონკრეტულად მდინარე ქსნის, ასევე საქართველოს მდინარეების არაერთ მონაკვეთზე.

უშუალოდ სოფელ აღაიანთან რამდენიმე წლის წინ არსებული ჭალის ტყის საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტი წარმოადგენს მდინარე ქსანზე საკმაოდ კარგად შენარჩუნებული ჭალის ტყეების ერთიანი ხაზის ნაწილს - სოფელ ოძისიდან სოფელ მუხრანამდე. აღნიშნული ზოლი გრძელდება დაახლოებით 25 კილომეტრზე და მოიცავს ასობით ჰექტარზე გაშლილი ჭლის ტყის ეკოსისტემის ფრაგმენტებს, რაც უნიკალური მოვლენაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპისთვის და ამ თვალსაზრისით, ქმნის საერთაშორისო მნიშვნელობის საკონსერვაციო ღირებულებას. ჭალის ტყის უფრო ფართო ფრაგმენტების შემონახული სოფელ ლამისყანის, ქსოვრისის, ფერმის, აღაიანისა და მუხრანის სიახლოვეს, თუმცა, მეტ-ნაკლებად შემორჩენილი ელემენტებით ის დღემდე ქმნის ჭალის ტყის ერთიან ზოლს, რომლის შენარჩუნებაც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების და ლანდშაფტის კონსერვაციისთვის და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან.

ამის საწინააღმდეგოდ, მდინარე ქსნის თითქმის მთელ პერიომეტრზე მიმდინარეობს ჭალის ტყეების გადაწყვა, ამოძირკვა და კარიერების დამუშვება, რის შედეგადაც, უნიკალური ტყის ფრაგმენტების ადგილს იკავებს ღრმად, ზოგიერთ შემთხვევაში, 8 მეტრის სიღრმეზე გაჭრილი ტრანშეები. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ტყეების ფრაგმენტაცია ქაოტური რეგისტრაციებით, რის შედეგადაც ათულობით ტყის მიწა კერძო საკუთრებაშია. ბოლო წლებში განხორციელებული რეგისტრაციებით გამოწვეული ჭალის ტყის ფრაგმენტაციის საერთო სურათისთვის იხილეთ სოფელ აღაიანის მიმდებარე ტერიტორიის აეროფოტო:

ფოტო 6: რეგისტრაციებით გამოწვეული ფრაგმენტაცია სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ.

აღიანის გარდა, ჭალის ტყეები ძალიან სწრაფად და მასობრივად ქრება სხვა სოფლების სიახლოვეს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხილეთ სოფელ მუხრანთან არსებული ტყეების მხოლოდ 2 წლის ინტერვალით გადაღებული სატელიტური სურათები:

ფოტო 7: ქვიშა-ხრეშის კარიერები სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. მუხრანთან; 2021-2023 წწ.

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მიმდინარეობს მთელი ევროპის მასშტაბით იშვიათი ჭალის ტყეების სწრაფი განადგურების პროცესი, რაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მხრიდან სასწრაფო ზომების გატარებას საჭიროებს.

შექმნილი მდგომარეობა მძიმედ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ცხოვრების ხარისხზე. მაგალითისთვის, სოფელ აღაიანის მოსახლეობა საუბრობს მათთვის ერთადერთი რეკრეაციული ზონის განადგურებაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბავშვებისთვის. აღაიანში აცხადებენ, რომ ქსნის ჭალაში არსებული რეკრეაციული ზონის განადგურების შემდეგ ბავშვებს მოაკლდათ არა მხოლოდ დასვენებისთვის, არამედ ფიზიკური განვითარებისთვის უალტერნატივო ადგილდებარეობა, რომლის საშუალებითაც აღაიანში თითქმის ყველამ ცურვა იცოდა.

ტყის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისა და მისგან გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის არსებული პრაქტიკა

ქსნის ჭალის ტყეების დეგრადაციის მძიმე შემთხვევა გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს სხვა მდინარეებზეც, რამაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიტუაციის კომპლექსური შეფასებისკენ და შესაბამისი ზომების მიღებისკენ უნდა უბიძგოს.

კრიტიკის საფუძველს იძლევა ამ გამოწვევებზე პასუხის მანკიერი პრაქტიკაც, როდესაც წიაღის მომპოვებელმა კომპანიამ, კანონით დაკისრებული რეკულტივაციისა და გარემოზე მიყენებული ზიანის კომპენსირებიც ნაცვლად, საკუთარი საქმიანობის შედეგად დეგრადირებულ უბანზე ტყის სტატუსის გაუქმება და სასტუმროს აშენების

მიზნით, მიწის რეგისტრაცია მოითხოვა. სამწუხაროა, რომ აღნიშნული პრეცენდენტი „მწვანე შუქს უნთებს“ და ახალისებს სახელმწიფო ტყეებში ქვიშა-ხრეშის მოპოვებას გარემოსდაცვითი და სატყეო კანონმდებლობის გვერდის ავლით.

კერძოდ, ქვეყანაში დანერგილი პრაქტიკით, სახელმწიფო კერძო სექტორს ათავისუფლებს კანონით დადგენილი სწორედ იმ ვალდებულებებისაგან, რომელიც შემუშვებულია როგორც ტყეების დაცვის, მდგრად მართვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, ასევე იძლევა სახელმწიფო ტყეებში წიაღით მდგრადი სარგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნული რეგულაციების აღსრულების ნაცლვად, სახელმწიფო მიმართავს წიაღის მოპოვების შედეგად დეგრადირებული ტყის უბნის ამორიცხვის მეთოდს და მიწას არეგისტრირებს იმავე კომპანიაზე, რომელზეც ჯერ ტყეების დაცვის, შემდეგ კი ტყის აღდგენის ან კომპენსაციის გადახდის ვალდებულება უნდა გავრცელებულიყო.

მსგავსი პრეცენდენტები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ისეთი მექანიზმების შემუშვების საჭირობას, რაც მსგავს სიტუაციაში უზრუნველყოფს დასუსტებული სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფუნქციების აღდგენას და მათ გამართულ მოქმედებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წიაღის მოპოვების შედეგად დეგრადირებული ჭალის ტყის უბნების აღდგენა საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ამიტომ საჭიროა ისეთი მოქნილი და გონივრული მიდგომების შემუშავება, რაც მოახდენს შეუქცევადი ზიანის პრევენციას და დააბალანსებს მდინარეთა ჭალების მიმართ არსებულ გარემოსადაცვით და ეკონომიკურ ინტერესებს. უნდა ითქვას, რომ საქართველოს აქვს კარგად გამართული, მოქმედი კანონმდებლობა, როგორც სატყეო სფეროში, ასევე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ნაწილში, რომელიც უზრუნველყოფს ამ ორი კონფლიქტური ინტერესის თავსებადობას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას საჯარო და კერძო სექტორებს შორის.

კერძოდ, საქართველოს კანონი გარემოსაცვითი პასუხისმგებლობების შესახებ აწესებს გონივრულ ვალდებულებებს კერძო სექტორისთვის მის მიერ დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენის ან ზიანის კომპენსირების კუთხით. საუკეთესო ევროპული გამოცდილებით მიღებული კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმი სწორედ არსებული გამოწვევების სწორი ანალიზი, გადაჭრის ეფექტური გზების ძიება და უწყებათშორისი კოორდინაციაა.

მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება იქნება პრეცენდენტული ხასიათის და უზრუნველყოფს როგორც ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების აღსრულებას, ასევე წაახალისებს პასუხისმგებლიან ბიზნესს და მდგრად ეკონომიკურ საქმიანობას.

ფოტო 8: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ.

ტყის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისა და მისგან გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის სამართლებრივი მექანიზმები - კომპეტენციათა ანალიზი

ეროვნული სატყეო სააგენტო

საქართველოს სახელმწიფო ტყეების, მათ შორის, ჭალის ტყეების დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება არის ეროვნული სატყეო სააგენტო, რომელიც ასევე ახორციელებს ტყის რესურსებით სარგებლობას სახელმწიფო სატყეო ტერიტორიებზე.

ტყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება სწორედ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობის ერთ-ერთი სახეა.

ჭალის ტყეებში ქვიშა-ხრეში მოპოვების კანონიერი უფლების მინიჭებისთვის ეროვნული სატყეო სააგენტო გასცემს ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებას, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური სამართლებრივი პროცედურები. შესაბამისად, ტყის ტერიტორიაზე წიაღის მოპოვებით დაინტერესებულმა პირმა, წიაღის ეროვნული სააგენტოდან ლიცენზიის მიღების შემდეგ, აუცილებლად უნდა მიიღოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

ფოტო 9: ქვიშა-ხრეშის კარიერი სახელმწიფო ტყის ფართობზე; მდ. ქსნის ჭალა, სოფ. აღაიანთან; 2023 წ.

გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელ ღონისძიებებთან დაკავშირებულ პროცედურებს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სააგენტო იღებს და განიხილავს გარემოსდაცვითი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს, რომელსაც წარმოადგენს პასუხისმგებელი პირი და უზრუნველყოფს მის შეთანხმებას.

ამასთანავე, სააგენტო განიხილავს პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას დაზიანებული გარემოს პირვანდელ ან მიახლოებულ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობის შესახებ, ამზადებს შესაბამის გადაწყვეტილებას (ცნობად მიღება ან უარი) და აცნობს მას პასუხისმგებელ პირს.

თუ პასუხისმგებელი პირი წარმოადგენს დასაბუთებას აღდგენის შეუძლებლობის, გონივრულ ვადაში განხორციელების უუნარობის, ხარჯების არათანაზომიერების ან ღონისძიების არაგონივრულობის შესახებ, სააგენტო განიხილავს ამ დასაბუთებას, ამზადებს გადაწყვეტილებას შეთანხმების ან უარის თაობაზე და აცნობს პასუხისმგებელ პირს.

დასაბუთების შეთანხმების შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს მის წარდგენას მინისტრის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიაში, რომელიც განსაზღვრავს სანაცვლო ან ადეკვატურ გამოსასწორებელ ღონისძიებებს დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე.

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სააგენტო აწვდის შესაბამის ინფორმაციას პასუხისმგებელ პირს. სააგენტო უზრუნველყოფს გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის განთავსებას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო განხილვის მიზნით. იგი განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და საჭიროებისამებრ აწვდის მათ პასუხისმგებელ პირს გეგმაში გათვალისწინებისთვის.

თუ პასუხისმგებელი პირი უარს ამბობს მოსაზრებების გათვალისწინებაზე, სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი დასაბუთების განთავსებას ვებგვერდზე. გარდა ამისა, სააგენტო განიხილავს პასუხისმგებელი პირის შუამდგომლობებს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სხვა ღონისძიებით შეცვლის ან გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ამზადებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. საჭიროების შემთხვევაში, იგი მიმართავს სააგენტოს უფროსს გეგმის შესათანხმებელი კომისიის შექმნის მიზნით.

სააგენტო ასევე განიხილავს საკითხს იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც მან გასწია გეგმის, ცვლილებების ან სანაცვლო ღონისძიებების განხილვის პროცესში, და ამზადებს შესაბამის გადაწყვეტილებას პასუხისმგებელი პირის მიერ ანაზღაურების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო არ ახორციელებს გარემოსდაცვით ზედამხედველობას ან სანქციების დაკისრებას განსაკუთრებით საშიშ საქმიანობაზე (მაგ., მრეწველობით გამოწვეული დაბინძურება). ეს ფუნქციები ეკუთვნის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. სააგენტოს როლი შემოიფარგლება გარემოს მდგომარეობის მონიტორინგით, შეფასებითა და გაფრთხილებებით, რაც ხელს უწყობს ასეთი ზიანის პრევენციას, მაგრამ არ მოიცავს პირდაპირ რეგულირებას ან პასუხისმგებლობის დაკისრებას საშიშ საქმიანობაზე.

კომპეტენციათა ანალიზი - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით კომერციული სარგებლობა შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, ტყის კოდექსის მიხედვით, ითვლება უკანონო ტყითსარგებლობად და ისჯება კანონით.

კერძოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობა იწვევს საქმიანობის განმახორციელებლის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ საქმიანობის განმახორციელებელი, ჯარიმების დაკისრების მიუხედავად, არ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებას, სამინისტრო გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად აცხადებს.

ტყის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და საქართველოს ტყის (გარდა მუნიციპალური ტყისა) დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ასევე გამოავლენს და აფასებს გარემოზე ზიანის შემთხვევებს, ახორციელებს ან ზედამხედველობას უწევს პრევენ-ციულ და შემარბილებელ ზომებს და ზედამხედველობას უწევს რემედიაციის სამოქ-მედო გეგმის განხორციელებას. დეპარტამენტი ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს გარემოს მიადგა ზიანი თუ მნიშვნელოვანი ზიანი. მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის №1 დანართით („მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერი-უმები).

რეგულაციები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ

2021 წლის 2 მარტს საქართველომ მიიღო „კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებ-ლობის“ შესახებ, რითიც ქვეყანამ მაღალი პრიორიტეტი მიანიჭა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელებას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია სა-ქართველოს მიერთება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ევროპულ (2004/35/CE) დირექტივასთან“.

კანონი ძალაში შევიდა 2022 წლის 1 ივლისს და მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე შემუშავდა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- მთავრობის დადგენილება გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიის შემად-გენლობის განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;
- მთავრობის დადგენილება გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სა-ხით ანაზღაურების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
- მთავრობის დადგენილება გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენე-ბისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწო-რებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესის შესახებ;
- მთავრობის დადგენილება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორე-ბელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების შერჩევის წესის შესახებ;
- მთავრობის დადგენილება გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანო-ბის განხორციელებით გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ (აღნიშნული დადგენილების პროექტი გადის შეთანხმებას სხვადასხვა უწყებებში)

კანონი ახდენს გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციას, ხოლო ზიანის გარდა-უვალობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ზიანის გავლენის შერბილებას, ახორციე-ლებს გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსწორებას და ადგენს გარემოზე მიყენებული ზიანის „ფულადი ანაზღაურების“ წესს.

კანონის I დანართში მოცემულია ბიომრავალფეროვნების, მიწისა და წყლის მნიშვნელოვანი ზიანის დადგენის კრიტერიუმები, ხოლო II დანართი განსაზღვრავს გარემოსთვის განსაკუთრებით სახიფათო საქმიანობების სახეებს.

კანონის მიხედვით, აღდგენითი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- პირველადი რემედიაცია (დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა);
- დამატებითი რემედიაცია (დაზიანებული ბუნებრივი რესურსების/შემცირებული სერვისების სანაცვლო/ადეკვატური ალტერნატივის შექმნა მიმდებარე ან სხვა ადგილზე)
- საკომპენსაციო რემედიაცია (შუალედური დანაკარგების კომპენსაცია).

დამატებითი და საკომპენსაციო ღონისძიებები განიხილება ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ან პირველადი რემედიაციის ღონისძიებები ძალიან ძვირია ან არაგონივრულად დიდ დროს მოითხოვს.

გარემოსდაცვითი ზიანის შესახებ შეუტყობინებლობისათვის, აღდგენის გეგმის შეუსრულებლობისათვის, პრევენციული ან შემარბილებელი ღონისძიებების შეუსრულებლობისთვის ან აღდგენითი ღონისძიებების გათვალისწინებული რემედიაციის გეგმის შეუსრულებლობისათვის ან გარემოსდაცვითი დაზღვევის გარეშე საქმიანობის განხორციელებისათვის კანონი ადგენს ჯარიმებს 5000 ლარიდან 80000 ლარამდე ოდენობით (1800€-28000€).

კანონი ითვალისწინებს დანართი II-ით განსაზღვრული „გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელებით გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობას.

დანართის მეექვსე პუნქტით, **„ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა“ შესულია გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ჩამონათვალში**. შესაბამისად, წარმოდგენილ საკითხზე ვრცლდება კანონით დადგენილი ყველაზე მაღალი სტანდარტები და პასუხისმგებლობები.

კანონი ითვალისწინებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების დასაფინანსებლად „გარემოსდაცვითი პროგრამის“ შექმნას, სადაც აკუმულირებული იქნება თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აგრეთვე, მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ღონისძიებების საერთო ღირებულების შესაბამისი თანხის 2%-ის ოდენობით. MEPA პასუხისმგებელია სამთავრობო კომისიის რეკომენდაციით შერჩეულ ღონისძიებებზე გარემოსდაცვითი პროგრამიდან თანხების გაცემაზე.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება და ძირითადი პასუხისმგებელი ორგანოები

კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ სავალდებულოდ აწესებს:

- ფულად პასუხისმგებლობას გარემოზე ზიანის მიყენების შემთხვევაში;
- გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში აღდგენის (გამოსწორების) ვალდებულებას;
- აღდგენითი ღონისძიებების დასაფინანსებლად „გარემოსდაცვითი პროგრამის შექმნას“ (ფულადი ფონდი).

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის აღსრულება განაწილებულია გარემოს დაცვის სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის:

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი გამოავლენს და აფასებს გარემოზე ზიანის შემთხვევებს, ახორციელებს ან ზედამხედველობას უწევს პრევენციულ და შემარბილებელ ზომებს და ზედამხედველობას უწევს რემედიაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. დეპარტამენტი ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს გარემოს მიადგა ზიანი თუ მნიშვნელოვანი ზიანი. მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია კანონის №1 დანართით („მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები).
- გარემოს ეროვნული სააგენტო ამტკიცებს გარემოს მნიშვნელოვანი ზიანის აღდგენის ღონისძიებებს და დამაბინძურებლის მიერ წარმოდგენილ აღდგენის გეგმას, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას რემედიაციის გეგმის დამტკიცებაში და განსაზღვრავს ფინანსური უზრუნველყოფის ოდენობას/საშუალებებს;

გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება და ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავება/დამტკიცება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით



პირობითი აღნიშვნები :

→ კანონის და მისი ქვემდებარე აქტების შესაბამისად განსახორციელებელი **აუცილებელი** ეტაპები

→ კანონის და მისი ქვემდებარე აქტების შესაბამისად, **საჭიროების შემთხვევაში** განსახორციელებელი ეტაპები

განმარტებები:

[1] **პირი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე;
[2] **ინფორმაცია** - როდესაც მნიშვნელოვან ზიანზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილია დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ან მიახლოებულ) მდგომარეობამდე აღდგენის **შესაძლებლობა;**
[3] **დასაბუთება** - როდესაც მნიშვნელოვან ზიანზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილია დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ან მიახლოებულ) მდგომარეობამდე აღდგენის **შეუძლებლობა** და მოითხოვნილია ალტერნატიულ ტერიტორიაზე სანაცვლო ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება;
[4] **სამდივნო** - „სააგენტოს“ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს „სანაცვლოს კომისიის“ საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარეს;
[5] **ვებ.გვერდი** - „სააგენტოს“ ოფიციალურ ვებ. გვერდი (nea.gov.ge);
[6] **პორტალი** - გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალი (ei.gov.ge).

გარემოსდაცვითი ზიანის კომპენსირების სქემა

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსწორების პროცესი

გარემოს მნიშვნელოვან ზიანზე პასუხისმგებელი პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება გულისხმობს ამ პირის დავალდებულებას, განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები. მათი განხორციელებისას აუცილებელია შემდეგი რიგითობის დაცვა:

ა) გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა;

ბ) გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა;

გ) დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ, პირი ვალდებულია, კანონის შესაბამისად, განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები, მათ შორის, დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე) არსებულ მდგომარეობამდე აღდგენა, თუ მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრისას დადგინდა, რომ ეს შესაძლებელია.

იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ პირი ვალდებულია, გადაიხადოს ზიანის ანაზღაურების თანხა / კომპენსაცია, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფო.

ამ პროცედურების შესასრულებლად, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წერილობით წარუდგინოს: ა) ინფორმაცია დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში (ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე) აღდგენის შესაძლებლობის შესახებ, ან ბ) დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში (ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე) აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში - აღნიშნულის შეუძლებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე).

რეკომენდაციები

საქართველოში საკვანძო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებისა და სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფუნქციების განხორციელების შესახებ პასუხისმგებლობას იღებს გარემოსა და სოფლის მეურნეეობის დაცვის სამინისტრო. რაც შეეხება სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებს, კომპეტენციათა ანალიზიდან გამომდინარე, ლიდერის ფუნქცია ეკისრება ეროვნულ სატყეო სააგენტოს, რომელიც, კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, საჭირო რეაგირებისთვის მიმართავს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

გთავაზობთ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განსახორციელებელი სარეკომენდაციო ღონისძიებების ნუსხას:

- კაბინეტური კვლევის განხორციელება სახელმწიფო ტყის იმ ტერიტორიების გამოსავლენად, სადაც ბოლო წლებში მიმდინარეობდა / მიმდინარეობს ქვიშა-ხრეშის მოპოვება; ჭალის ტყის ფართობების კალსიფიკაცია ლიცენზიის მოქმედების ვადებისა და მარეგულილრებელი საკანონმდებლო და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით
- ერთიანი რეესტრის / რუკის შექმნა და პრიორიტეტული არეალების განსაზღვრა დეტალური მოკვლევის განხორციელების მიზნით
- შერჩეული არეალების გადაცემა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის დეტალური მოკვლევის განხორციელების მიზნით
- გარემოსდაცით დეპარტამენტთან ერთად, ქვიშა-ხრეშის მოპოვების განხორციელებული და მიმდინარე სამუშოების კანონიერების დადგენა და ხარვეზების გამოვლენა მათი აღმოფხვრის მიზნით
- შეფასების აქტების გადაცემა გარემოს ეროვნულ სააგენტოსთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეკულტივაციის ვალდებულებების, მათ შორის ტყის ლანდშაფტის აღდგენის შესაძლებლობების შეფასების, განფასებისა და განხორციელების მიზნით, რომელიც მოიცავს:
    - → გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ტყეების აღდგენის შესაძლებლობების დადგენას და კომპენსაციის მოცულობების განსაზღვრას
    - → ჭალის ტყის აღდგენის პროექტების შემუშავებას, როგორც წიაღის მოპოვებისგან დეგრადირებულ უბნებზე, ასევე სხვა ტერიტორიებზე

გამოყენებული საკანონმდებლო აქტები

1) საქართველოს ტყის კოდექსი, 2020

2) საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, 2013

3) დებულება ტყითსარგებლობის წესის შესახებ, 2021

4) დებულება ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების შესახებ, 2021

5) დებულება საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ, 2021

6) დებულება ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ, 2021

7) ტექნიკური რეგლამენტი გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის შესახებ, 2021

8) საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, 1996

9) საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, 2005

10) დებულება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ, 2005

11) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, 2017

12) საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, 2021

წიაღის მოკოვების შედეგად დეგრადირებული ჭალის ტყეების აღდგენის მოდელი

რეკომენდაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის